№ 17, თბილისი, 1942 წ. მაისი. გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი". ფასი 50 კაპ.

# ნიანგი



ნახ. ს. ნადარეიშვილისა

გაზაფხულის „ყვავილები"

გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა გერმანიის არმიის ზარალი. ლენინ-გრადის ფრონტზე მარტო ერთ დღეს მათ 1700 კაცი დაჰკარგეს.

# ახალი შეტევა

ნახ. დონისა




— მოისმინე ფიურერის სიტყვა რეიხსტაგში? ახალ შეტევას იწყებს.
— შეტევას? რომელ ფრონტზე?
— ფრონტზე კი არა, ზურგში, გერმანელ ხალხის წინააღმდეგ.

# გაზაფხულის „წვიმა“

გამვლელი შეჩერდება და ალაყაფის კართან მდგ...მ სათვალებიან დარაჯისაკენ გააფურთხებს. იგი უეჭველად ადგილობრივი მცხოვრები იქნება. დარაჯი ცხვირზე ჩამოფხატულ სათვალების ზევიდან გამფურთხებელს მწყრალად გადახედავს და შეუკურთხებს:

„ძაღლის შვილო, რაღა აქ აფურთხებ, საფურთხი ხომ არ გგონივარ? მაგრამ, თუ ვინმე უცხო გამოიარს, რომელიც პირველად ჩამოსულა ამ ქალაქში, არ შეიძლება არ იკითხოს, თუ რა უნდა ყოფილიყო წინად აქ, და, ცოტა დაკვირვების შემდეგ, მიხვდება, რომ იგი იმყოფება იმ ადგილას, სადაც უეჭველად უნდა ყოფილიყო ფაშისტების მიერ ოკუპირებული ქალაქის ზოოპარკი, რომელსაც შემოვლებული ჰქონია რკინის მესერი და ქვის მაღალი ყორე. აქვე გაშენებული ყოფილა სხვადასხვა ჯიშის მცენარეები, გაკეთებული ჰქონია გარეულ ფრინველებისათვის ბადის ღობურები და მხეცებისათვის — რკინის გალიები წყლის აუზებით.

დღეს კი ყველაფერი აქ განადგურებულია და აოხრებული. მხოლოდ ერთ ადგილას ფაშისტებს თავისი ბავშვებისათვის სავარჯიშო მოედანი გაუკეთებიათ.

სათვალებიანი დარაჯი ივან პეშკაევი მუყაითად ასრულებს თავის ბატონების ბრძანებას, დაწერილს დიდი ასოებით და ალაყაფის კარზე გაკრულს:

„აქ შესვლა შეუძლიათ მხოლოდ გერმანელ ბავშვებს“.

— ბიძია ივან საფურთხელაძევ, — მოესმის მას საიდანღაც. პეშკაევი მიმოიხედავს და ახლომახლოს ვერავის ხედავს.

— ვინ ოხერი უნდა იყოს? — გაიფიქრებს იგი, — ივანე მე მქვია, მამაჩემს კი საფურთხელა არ ქვიებია.

მას ისევ მოესმის: ბიძია ივან საფურთხელაძევ!

დარაჯს ბრაზი მოსდის:

— ვინ ოხერი ხარ? ერთი გამობრძანდი და გიჩვენებ შენ სეირს! — შეუყეფს იგი უცნობ ხმას.

ამ დროს იქვე, ახლო ბუჩქებში ჩაცუცქდებიან ორი ბიჭუკელა, მიკოლა და პეტრო და ჩუმად იცინიან. მათ უხარიათ, რომ სათვალებიან დარაჯს აჯავრებენ.

— ნეტა ასეთი რა დააშავა ბიძია ივანემ, რომ ყველას გვეჯავრება? — ეკითხება პეტრო თავის ბიძაშვილს, მიკოლას.

— სულელო, როგორ თუ რა დააშავა? ვერ ხედავ, ფაშისტების ქოთაკი გამხდარა? ტყუილა ხომ არ შეურქმევიათ მისთვის ივან საფურთხელაძე? განა ჩვენებმა მაგან არ დააბეზღა ფაშისტებთან?

სანამ მაგის ჯავრს არ ამოვიყრი, ვერ მოვისვენებ. — უპასუხებს მიკოლა მას და ინსტიქტურად მუშტს დარაჯისაკენ გაიქნევს.

პეტრო ჩაფიქრდება. მიკოლაც სდუმს. მათ აგონდებათ ფაშისტების შემოსევა უკრაინაში, მშობლების დახოცვა, სახლკარის გადაწვა, ახლა ისინი უპატრონოდ არიან, რომლებიც ხან ერთ ნათესავს აფარებენ თავს, ხან მეორეს. მაგრამ გულს მაინც არ იტეხენ. — ტყუილად ხომ არ არწმუნებენ მათ, რომ ფაშისტები აქ დიდხანს ვერ იბატონებენ.

მიკოლა სამი წლით უფროსია პეტროზე, თანაც ღონიერი და მასზე მეტი მცოდნეც. ამიტომაც პეტრო მას ყველაფერს უჯერის. ისინი ბიძაშვილები არიან, მაგრამ ახლა ძმებივით უყვართ ერთმანეთი. სკოლაშიც ერთად სწავლობდნენ, სანამ ფაშისტები ქალაქს დაიკავებდნენ.

— მიკოლა, იცი რა გითხრა, ფაშისტები მართლა მხეცები უნდა იყვნენ, ნამდვილი მხეცები. ოხ, რა საზიზღრები ყოფილან! — იტყვის პეტრო და მიკოლას გადახედავს.

— თფუ, ამხელა ბიჭი ხარ და შენს თავში ჯერ კიდევ არაფერი შესულა.

ათასჯერ მითქვამს, ფაშისტები მხეცებზე უარესი არიან მეთქი. თუ არ გჯერა, აი, წაიკითხე იმ პლაკატზე დაწერილი. — და მიკოლა ხელს გაიშვერს ალაყაფის კარისაკენ, რომელზედაც პლაკატი ჰკიდია. პეტრო მიაჩერდება პლაკატს და კითხულობს:

„ჩვენ აღვზრდით ისეთ ახალგაზრდებს, რომელთა წინაშე მთელი ქვეყნიერება შეძრწუნდება. მე ასე მინდა. მე მინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ემსგავსებოდეს გარეულ მხეცებს. ადოლფ ჰიტლერი“.

პეტრო ჩაფიქრდება. იგი გასცქერის ბაღს, სადაც თამაშობს ხუთი გერმანელი ბიჭი.

გამოდის, მე და მიკოლა, ადამიანებად ვიზრდებით, ისინი კი — მხეცებათ. — ფიქრობს პეტრო და თანაც ვერ აუხსნია, რატომ უნდა იყოს ასე.

— გახსოვს პეტრო, შარშანდელი გაზაფხული? რა ბედნიერები ვიყავით მაშინ. მშობლებიც ცოცხლები გვყავდა. სწორედ ეგ დრო იყო, მაისი, — ჩვენი სკოლის მოწაფეები ხშირად დავდიოდით აქ და ვეცნობოდით გარეულ მხეცებსა და ფრინველებს. გახსოვს, თეთრი დათვი „ბიძია ფედორს“ რომ ვეძახდით? მაიმუნი ორანგუტანგი, შენ რომ „ანდრუშკა“ შეარქვი. ფარშავანგი „მარუსია“, ვეფხვები, ლომები, გარეული ღორები, სირაქლემა, არწივი, ოთახის ოდენა სპილო თავისი გრძელი ხორთუმით, — ყველა ისინი თვალწინ მიდგას. ახლა კი ისინი სადღაც დადიან. განა იმ მხეცებს შეედრება ღვთაანდელი ფაშისტი მხეცები და მათი ლეკვები, აი აქ, ბაღში რომ დახტიან? არა, პეტრო, არა!

მიკოლას ამ სიტყვებზე პეტროს თვალები აეცრემლა.

ამ დროს მათ თვალი მოჰკრეს ბუჩქებს, რომლებიც გერმანელ ბიჭებთან მისულიყო და მათ რაღაცას ეუბნებოდა. მათ თავი დაანებეს თამაშს და ორ ჯგუფად გაიყვნენ.

— თქვენ — იქით, ჩვენ — აქეთ! — დაიძახა ერთმა და სწრაფად დაიფანტენ. ისინი დარბოდნენ და ბუჩქებისა და ხის ძირებს ათვალიერებდნენ.

— მიკოლა, ხედავ ჩვენ გვეძებენ, გავიქცეთ, თორემ შავ დღეს დაგვაყენებენ! — წამოიძახა პეტრომ და გასაქცევად მოემზადა. მიკოლამ მას ხელი სტაცა.

— შესდექ, ჩაწევი ჩქარა! მე რაც მომივა, სულ ერთია, შენ კი თავს უშველი, როცა განიშნებ, გესმის?

ამ დროს მიკოლა ხედავს ორ გერმანელ ბიჭს, რომლებიც უახლოვდებიან მათ.

— მოიცა, მგონი ის უნდა იყოს, სწორედ იგია, ჩვენი ხალხის ჯალათის ლეკვი. — მაგაზე ხომ მაინც ვიყრი ჯავრს! — წამოიძახა მან და მუშტი მოიმარჯვა.

ორი მოზრდილი გერმანელი ბიჭი უკვე მათ თავზე წაადგნენ.

— ვიპოვეთ! აქ არიან! — დაიყვირა ერთმა მათგანმა და ისინი მათზე უნცროს მიკოლასა და პეტროს მხეცებივით დაებდღვნენ. შეიქნა ბრძოლა. მიკოლა ორივეზე ღონიერი და მარჯვე აღმოჩნდა და პირველად ფეხქვეშ ჩაიგდო იგი, ვისაც მან ჯალათის ლეკვი უწოდა: სამაგიეროდ, მეორემ, რომელიც პეტროზე ხუთი წლით უფროსი იქნებოდა და ტანითაც დიდი, — მოასწრო პეტროსთვის სახეში გაერტყა, როცა პეტრომ მას ხელით ვერაფერი დააკლო, მუჰისოდენა ქვა ზურგში უთავაზა, — ვაი დედაო, დაიკნავლა გერმანელმა და ყვირილი მორთო.

— პეტრო, უშველე თავს! — დაუყვირა მიკოლამ მას. თვითონ კი ჯალათის ლეკვს აგუნდავებდა. პეტრო გაიქცა, მაგრამ გულმა ვეღარ მოუთმინა მეგობრის დატოვება და უკანვე გამობრუნდა მიკოლას დასახმარებლად.

ამ დროს გერმანელ ბიჭებს მიეშველნენ ამხანაგები. ისინი მიკოლას შორიახლოს უტევდნენ, ეშინოდათ მისი, მხოლოდ პეტროს კი უმოწყალოდ სცემდნენ. მიკოლა ხედავდა, რომ ხუთის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ უკან არ იხევდა და თუ კი რომელიმე მათგანს მისწვდებოდა არც ერთს ფეხზე არ აყენებდა. გერმანელ ბიჭებს პოლიციაც წამოეშველა.

— შეათრიეთ ბაღში და სცემეთ რამდენიც გინდოდეთ, ოღონდ იცოდეთ, არ მოჰკლათ, თორემ პასუხს აგებთ. — ბრძანა პოლიციელმა და თავისი უფროსისაკენ გასწია.

ბაღში მიკოლასა და პეტროს უმოწყალოდ სცემეს, ცხვირიდან სისხლი ადინეს და დიდ რკინის გალიაში შეაგდეს, სადაც წინათ მტაცებელი მხეცები ჰყავდათ მოთავსებული. გერმანელი ბიჭებიც შევიდნენ გალიაში და განაგრძობდნენ მათ ცემას და დაცინვას.

— პეტრო, თავი მოიმკვდარუნე, გესმის? — ჩუმად გადაულაპარაკა მიკოლამ პეტროს და თვითონაც სული განაბა. იგი ხედავდა, რომ ხუთიდან მხოლოდ ორი გერმანელი ბიჭი დარჩენილიყო. ისინი ხან ერთი და ხან მეორე წაარტყამდნენ მას ფეხს. მიკოლა ხელით ჩასჭიდებოდა რკინის კეტს, რომლის გამოღება გალიის ღობურიდან ადვილად შეიძლებოდა. მიკოლამ ძალა მოიკრიფა და ბოკვერივით წამოხტა, ხელში რკინის კეტი მოიმარჯვა და გერმანელ ბიჭებს შესძახა:

— არ გაინძრეთ, არ დაიყვიროთ, თორემ გაგათავებთ!

ისინი შიშისაგან კანკალებდნენ.

პეტრო ფეხზე იდგა და თუმცა ნაცემი გვერდები ძალზე სტკიოდა, მიკოლას ასეთი მოქმედებით გაიხარხარა და მას გვერდით ამოუდგა. მიკოლამ თვალით ანიშნა მას გაქცეულიყო. პეტრო მოჩვენებასავით გაქრა.

მიკოლამ გალიის კარი ურდულით გადაჰკეტა და იქვე დაყრილი მავთული ურდულს შემოახვია, ისე რომ, მათ არ შეეძლოთ გარედან დაუხმარებლად გალიიდან გამოსვლა. სათვალებიანი დარაჯი ალაყაფის კართან იდგა და თავისი დანაშაულობის წინაშე ცახცახებდა.

მიკოლა მას ზურგიდან მიეპარა, სახეში მიაფურთხა და მიაძახა: „ვერ ხედავ, ივან საფურთხელაძევ, წვიმა მოდის, წვიმა, ეგ გაზაფხულის წვიმაა, რომელსაც უეჭველად ქარიშხალი მოჰყვება. — იცოდე, უფრთხილდი ქარიშხალს.

პეშკაევი გაქვავებული იდგა და არც კი ესმოდა გალიაში მყოფთა ყვირილი: „გვიშველეთ, გვიშველეთ!“

პეშკაევმა ნაფურთხისაგან სახე მოიწმინდა და თანაც გაიფიქრა: „ასეთ წვიმას, როგორც იქნება გაუძლებდი, მაგრამ ქარიშხალს კი ვეღარ გადაურჩებიო“.

ს. ვული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიცი და ბოლო

„ჰიტლერი დიდი რიხით აცხადებდა, რომ „გერმანიამ გაამევა კაპიტალისტური აფთრები“, მაგრამ ახალი ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანიაში შექმნილია „შეიარაღების კომიტეტი“, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს „პლუტოკრატთა კომიტეტს“ და რომელშიაც შედიან ყველაზე მსხვილი კაპიტალისტები, ნათლად მოწმობენ, თუ ვის ინტერესებს ემსახურება ჰიტლერი“. გაზეთებიდან

ქურდისა და მამლის არაკს
ალბად იცნობს ჩვენში ყველა,
იგი ერთმა მაგალითმა
გაგვახსენა კვლავ ერთხელა.

ჩოხის კალთას აფარებდა
ქურდი მამალს ნაპარავსა,
მაგრამ ბოლო მოუჩანდა,
თუმც მალავდა ფრთებს და თავსა.

და ქურდს უთხრეს: ფიცი გვესმის,
მაგრამ ბოლო გვაკვირვებსო:
ვეჭვობთ, რადგან ბოლო მოსჩანს
შენვე მალავ თავს და ფრთებსო.

*

ამ ძველ არაკს მოგვაგონებს
ფაშისტების მოქმედება,
მათი ქურდი „ფიურერიც“
ტყუილს მიედ-მოედება.

გაიძახის: „ევროპაში
მე ვამყარებ ახალ წესებს!...“
ნამდვილად კი უწესურის
მოქმედება ხალხს აკვნესებს.

უსინდისოდ სტყუის: „ხედავთ,
როგორ ვებრძვი კაპიტალსა?
მე იმ აფთრებს სადაც ვნახავ,
ტყავს გავაძრობ, დავთხრი თვალსა!...“

მაგრამ „კაპიტალის მდევნელს“
გამოუჩნდა ბოლო გრძელი:
„პლუტოკრატთა კომიტეტის“
შექმნას მოაწერა ხელი.

მაინც ბოლო არ გვაკვირვებს,
რადგან არვის სწამდა ფიცის,
ეს ყაჩაღთა „ფიურერი“
რაც შვილია ყველამ იცის.

**ყირიმელი**

## გამოცდილებით იცის

ფინეთში მოსახლეობა შიმშილობს. ისედაც მცირე ულუფას მოქალაქენი ვერ ღებულობენ, რადგან პურის გასაყიდ დუქნებში წელზე შემოსაჭერ ქამრებს ჰყიდიან. გაზეთებიდან

ნახ. დონისა




— სულერთია რიგში რომ ჩავდგე პური არ მომიწევს, იმოდენა რიგია.

— პური? პური სამი დღეა არ ყოფილა და არც დღეს იქნება. მაგრამ შეგიძლიან შეიძინო, ქამარი, რომელსაც თუ წელზე მაგრა შემოიჭერ, — შიმშილს ადვილად გაუძლებ.

## გერმანია... „იცინის“

ნახ. ი. მახინახე




გაწამებულს, ნაცემს, გაძვალტყავებულს,
ცრემლებისგან დამწვარს, თვალჩაშავებულს,
ჯალათები შემორტყმიან სისინით
და მათ ხელში გერმანია „იცინის“.
ეს მანქანა — ხედავთ, როგორ ახარებს? —
დოიჩლანდი სულ „ხარხარებს... ხარხარებს“!

## გეომეტრიული პროგრესია

გერმანიის მოქალაქეთა პესიმისტურმა განწყობილებამ, განსაკუთრებით ბოლოხანებში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ამ მოვლენამ რეიხსტაგის ვიცეპრეზიდენტი შტერიც დააფიქრა.

— მარტო ადმინისტრატულ ზომებს შედეგი არ მოაქვთ. საქმე საშიშ ხასიათს ღებულობს. საჭიროა ხალხის დაჯერებაც, რომ მომავალი ჩვენია, რომ ის მარცხი, რაც ჩვენ განვიცადეთ დროებითი და შემთხვევითი მოვლენა იყო. საჭიროა ამ აზრის განსაკუთრებით დაზუსტება მართლაც და რა იყო, ჩვენი შეფერხების მთავარი მიზეზი? უპირველეს ყოვლისა ცივი, მოულოდნელი ზამთარი—გაიფიქრა შტერმა.—მე თვითონ ვაკვირდებოდი ამ უკანასკნელ რვაათი წლის განმავლობაში ჩრდილოეთის ტემპერატურას და მსგავსი ყინვა რუსეთში კი არა პოლუსზედაც არსად მინახავს. ასეთი ზამთარი რუსეთში მხოლოდ ათი წლის წინად იყო.

— უნდა განვაცხადოთ ყველას საყურადღებოდ, რომ ჩვენი შეფერხების მიზეზი აღმოსავლეთის ფრონტზე იყო უმკაცრესი ზამთარი, რომლის მსგავსიც ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში არავის უნახავს—უთხრა მან ჰიმლერის ერთერთ მოადგილეს თავის კაბინეთში მასთან ლაპარაკის დროს.

— უნდა გასცეთ ბრძანება, რათა უყოყმანოდ დაიჯერონ ყეყეჩმა პესიმისტებმა, რომ ჩვენი შეფერხების მიზეზი აღმოსავლეთის ფრონტზე იყო უმკაცრესი ზამთარი, რომლის მსგავსიც ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში არავის უნახავს!—მოახსენა ჰიმლერს მისმა მოადგილემ და ამ მოხსენების შესაბამისად ჰიმლერმა შემდეგი ინსტრუქცია გამოაცხო:

„გევალებათ უყოყმანოდ დაიჯეროთ, რომ ჩვენი შეფერხების მიზეზი აღმოსავლეთის ფრონტზე იყო უმკაცრესი ზამთარი, რომლის მსგავსიც ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში არავის უნახავს“.

ამ ინსტრუქციის შინაარსმა შრომის მინისტრ ლეიმდისაც მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც შრომის მინისტრს, წინა ღამით საკმაოდ ხანდაზმული შრომა გაეწია ბავარიის ქაფქაფა ლუდის ბობოქარ ტალღებთან „შებრძოლების“ დროს, ლეიმ ყურადღებით წაიკითხა იგი და პროპაგანდის მინისტრ ჰებელსს თავისი აზრი გაუზიარა.

— მე საკუთარი მეთოდით მინდა მოვახდინო პესიმისტ ცხვირების კომპოზიცია, მაგრამ აგიტაციაც ხელს უნდა მიწყობდეს—და ჰებელსთან ერთად რადიოში გადასაცემად ასეთი ტექსტი გამოიმუშავეს:

— „ისმინეთ, ისმინეთ, ისმინეთ, ჩვენი შეფერხების მიზეზი აღმოსავლეთის ფრონტზე იყო უმკაცრესი ზამთარი, რომლის მსგავსიც ამ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე არავის უნახავს“.

— რაო?! შესწყვიტეთ გადაცემა! რა საუკუნე, რის საუკუნე, ჩვენი შეფერხების მიზეზი ისეთი ზამთარი იყო, რომლის მსგავსიც არც ერთ პლანეტაზე, არც ერთ სივრცეში ქვეყნის დასაბამიდან არავის უნახავს.

— ხრრრ!.. ხრრრ!... ხრრრრ!... — გაისმა აკომპანიმენტის მსგავსად „ფიურერის“ მუშტის მოქნევით დაზიანებულ რადიოაპარატის ხმა.

**ს.. ისარიძე**

# საგაზაფხულო „თესვა" ფინეთში

გაზეთ „ჰელსინკენსანომატის" ცნობით განსაკუთრებული სათესლე ფონდი შეჭმული აღმოჩნდა, რის გამო ფინელ გლეხებში ხელისუფლების წინააღმდეგ უკმაყოფილება ძლიერდება. გაზეთებიდან

ნახ. ი. კროტკოვისა



ვირთხები: — ვიჩქაროთ, დავხრათ ეს სათესლე, თორემ თესვა საცაა დაიწყება და საზრდო ხელიდან გამოგვეცლება.

## „თოვლ-ქვეშა მოსავალი"

„...თოვლი უკვე დადნა. ადგილები, რომელნიც ზამთარში ბრძოლის ველს წარმოადგენდნენ, სავსეა ყოველგვარი იარაღებით, რაც დაუტოვებიათ გერმანელებს პანიკური უკანდახევის დროს. ამ ნადავლს ჩვენი მებრძოლები უწოდებენ: „თოვლ-ქვეშა მოსავალს".

გაზეთებიდან



1. ფაშისტები ვერ უძლებდნენ
ზამთრის სუსხს და დარტყმას ჩვენსა;
მათი ჯარი და ტექნიკა
ფუფუქ თოვლში ჩაითესა.

2. და როს დადგა გაზაფხული,
გააჭყიტა მზემ თვალი,
გაქცეულ მტრის ნაოხართა
სჩანს „თოვლ-ქვეშა მოსავალი".

# ფრონტის გაზეთებიდან

## გულისხმიერი ექიმი

გერმანიის საექიმო კომისიების განკარგულებით დროებით ოკუპირებულ რაიონებში მძიმე ავადმყოფებს და დაჭრილებს ხოცავენ.

— ბატონო ექიმო, ნუ თუ მე ყუმბარის ნატეხები მაქვს ნაწლავებში?

— შენ ჩემო კარგო, მშვიდად იყავი, ნუ ღელავ. ჯერჯერობით ნამდვილად ვერაფერს ვიტყვით... განკვეთა გვიჩვენებს.

(„სამშობლოს ღირსებისათვის")

## გერმანელთა ზურგში

— ოჰ, მოგვაბეზრა თავი მებელსმა თავის მუდმივი ტყუილებით! უსმენ მას და ფიქრობ: კარგი იქნებოდა გაგეხურებია რკინის შამფური და მებელსისათვის პირში ჩაგეჩარა ტარით.

— რატომ ტარით?

— იმიტომ, რომ როცა გახურებულ ნაწილს ხელს მოავლებდა, ხელები დაეწვოდა და ველარ ამოიღებდა.

(„სამშობლოსათვის")

## ცდილობენ

გერმანელი გენერალი — როგორაა საქმე ფრონტის თქვენს უბანზე?

გერმანელი ოფიცერი — ვცდილობთ ბატონო გენერალო, რაც გაგვიხდება... დღეს, ჯერჯერობით, ორას ორმოცდაათი სამარე გავთხარეთ ჩვენი დახოცილებისათვის...

(„მამულის შვილი")

# ორი ფრიცის დანაშაული

ფრიც კვატენბერგი იმ ნაწილის ჯარისკაცად ითვლება, რომელიც დროებით დაკავებულ პუნქტში „გვერდებს იშუშებს". „გერმანიის არმიაში „გვერდების მოშუშება"—ნიშნავს წითლების მიერ ნაბენტ „მამაც არიელთა" გადარჩენილი ნაწილის გადათვლას, დალაგებას, საცვლების გაშრობას და თუ ამის საშუალება მიეცათ—მებენარებისაგან „განტვირთვასაც".

მოდა აი, კვატენბერგიც იშუშებდა გვერდებს. ამავე მდგომარეობაში იყო მისი ვიურტემბერგელი მეგობარი ფრიც ბატენბერგიც. კაცმა რომ თქვას, ამჯერზე ბედმა გაუღიმა ორივე ფრიცს. მათ წითლებისაგან გვერდები დროებით გამოაღწიეს. მათი ოცნება ერთია: თუ შემდეგში იგივე ბედი მათთვის კვლავ მოიმარე დარჩა, იქნებ კვატენბერგი და ბატენბერგი ტყვედ მოხვდნენ საბჭოთა კავშირში, მაშინ უთუოდ კმაყოფილნი იქნებიან — კუჭს გაიძღომებენ და გადარჩებიან ნაღდი სიკვდილისაგან, რაც ბოლოს და ბოლოს აუცილებელ ხვედრს შეადგენს საბჭოთა კავშირისაკენ წამოსულ ყველა ოკუპანტისათვის.

დღეს კი ორივე ფრიცს შიან. მათ ნაწილს სურსათის ნატამალიც არ შეაჩნია. სოფლებში სიარული ვერ გაუბედნიათ, რადგან ან ქოხებში ჩასაფრებულ მოქალაქეთა ხელყუმბარის მსხვერპლი გახდებიან, ან ტყეში გახიზნულ პარტიზანების ტყვეებისა. მაშ რა ქნან ფრიცებმა? შიათ, კუჭი შეურიგებელ მოთხოვნილებას უყენებს.

— ფრიც, — მიმართავს ბატენბერგი. — კარავთან ატუზულ კვატენბერგს.

— რა იყო ფრიც? — მიუგებს კარავის წინ ჩაცუცქული კვატენბერგი.

— მშიან, ფრიც.

— მეც მშიან ფრიც.

— რა ვქნათ?

— მოდი ისევ თავიშევიქციოთ.

— რით?

— „ჭამობიას" თამაშით.

— ეგ მართლაც კარგი აზრია, კარტი გაქვს?

— მაქვს.

ბატენბერგი და კვატენბერგი შედიან კარავში, საიდანაც ორიოდე წუთის შემდეგ ისმის მათი წამოძახილები:

— გავჭერ შენი კულიჩი ტუზით, ჩამოდი კონიაკს.

— ეს ერთი ბოთლი კონიაკი მე მრჩება, გავჭერ.

— მაშ ჩამოდი შაშხს.

— აჰა, ეს მთელი ბარკალი შაშხი, — იფ, რა მსუქანია, ნამდვილი უკრაინულია. გასჭერ.

— ახ, დაიწვა შაშხი. წაიღე.

— აბა, ახლა ჩამოაბრძანე ეგ თეთრი პური და შემწვარი გოჭი.

— წაიღე, ჭამე; თუ გასჭრი — შეგერგოს.

— ჩინებული გოჭია, ფრიც სად დაბრაწე ასე? პურიც რა შესანიშნავია, თეთრი, აფუებული.

— ეს, ჩემო ფრიც, მე არ დამიბრაწავს. აგერ გაღმა რომ ქოხია, გუშინ იქ შევიდე, ვხედავ ღუმელთან დგას დედაბერი. დგას და ბრაწავს ამ გოჭს.

— რას მეუბნები, მართლა დგას, არ ეშინიან? აი, ის ჭოდაკი — ალბად პარტიზანებისათვის ამზადებდა? — შენ, რასაკვირველია, ზურგში ფინური დანა ჩაარტყი და წამოიღე ეს გოჭი, როგორც ნამდვილ ჰიტლერელს შეჰფერის.

— არა ფრიც, — სევდიანად მიუგებს მეორე ფრიცი, — შემეცოდა.

— შეგეცოდა? შენ, არიელს, ჭეშმარიტ ჰიტლერელს შეგეცოდა სლავიანი დედაბერი, რომელსაც შემწვარი გოჭი ჰქონდა და შენ კი გშიოდა? ეს სირცხვილია, უფრო მეტიც — ეს დანაშაულია, ამისთვის დაგსჯიან და ღირსიც იქნები.

— რა ვქნა ფრიც, რაღაც ადამიანურმა გრძნობამ გაიღვიძა გულში, იცი რატომ?

— უცბად რომ შევხედე, დატანჯული სახე ჰქონდა, დედაჩემს ჰგავდა, შემეცოდა.

— მიქარვა, როგორ უნდა შეგეცოდოს სლავიანი დედაკაცი? მაგრამ ჩამოდი, ჩამოდი ეგ შემწვარი ბატი...

— აჰა, გასჭერ...

ჩვენ გამოგვრჩა იმის თქმა, რომ ორი ფრიცის ამ უცნაური თამაშის დაწყებისთანავე, მათი კარვის წინ გაჩნდა ეფრეიტორი კურტ ფონ-ბურვაკი, რომელიც კარებთან შეჩერდა. არა, კი არ შეჩერდა — გაშეშდა იმ მადიანი სანოვაგის სახელების გაგონებაზე, როგორიცაა შაშხი, კონიაკი, თეთრი პური, დაბრაწული გოჭი და სხვა პირდაპირ „გამაგრულებელი" სანოვაგე, რაც დიდი ხანია არ უნახავს ფონ-ბურვაკს. იგი ისმენდა კბილების კაწკაწით, ნერწყვი მოსდიოდა და თვალები უგანიერდებოდა იმ შეგრძნობით, რომ ამ გემრიელ საჭმელებს ის იგემებდა კვატენბერგის და ბატენბერგის ულუფიდან. თან ბრაზმორეულად ბუზღუნებდა ფონ-ბურვაკი.

— „არამზადები, უქურდნიათ, უყაჩაღნიათ უჩემოდ, — უჩემოდვე იყოფენ, მე ვაჩვენებ როგორ უნდა უფროსის უგულებელყოფა".

მაგრამ იმ ადგილზე კი, სადაც ერთერთი ფრიცის საუბარი შეეხო ადამიანური გრძნობის გაღვიძებას, ფონ-ბურვაკი გაცოფდა, სიბრაზისაგან აცახცახდა — დორბლები გადმოყარა და მრისხანედ შეჰყვირა.

— ფრიც არამზადა ფრიც კვატენბერგ! — გამოდი გარეთ.

ფონ-ბურვაკის წინ თვალისდახამხამებაზე გამოიჭიმა სახეალეწილი კვატენბერგი, რომელსაც უკან მოჰყვა გადაფითრებული ბატენბერგი.

— არამზადავ, აქვე ჩაგაძაღლებ — როგორ გაბედე? — დაუღრიალა ფონ-ბურვაკმა.

— არაფერი დამიშავებია ბატონო ეფრეიტორო, — ცახცახით მიუგო კვატენბერგმა.

— როგორ! შენ ამ წუთში თვითონ განაცხადე, რომ შენში ადამიანურმა გრძნობამ გაიღვიძა სლავიანის მიმართ და მაინც ბედავ თავის მართლებას?

— ეს შეცდომაა, ბატონო ეფრეიტორო.

— ერთი ამას უყურეთ, ახლა არ ეუბნებოდი ბატენბერგს, შემეცოდა დედაბერი და არ მოვკალიო? განა ეს ფიურერის შეურაცხყოფა არ არის, განა ეს არ არის ჰიტლერელ ჯარისკაცის სახელის გატეხა! — ვინ მოგცა უფლება ადამიანური გრძნობა ალგეძრას გულში!

— გავბედავ და მოგახსენებთ ბატონო ეფრეიტორო, რომ ეს არის გაუგებრობა, მე და ბატენბერგი ვთამაშობდით კარტს „ჭამობიას" და ვამბობდით როგორც გამოგონილი საჭმელების სახელებს, ისე გამოგონილ გრძნობებსაც. ადამიანური სიბრალულის გრძნობებს რა უნდა ჩემთან, განა არ ვიცი, რომ არიელი ჯარისკაცი ვარ? ჰაილ ფიურერ!

— ჰაილ ფიურერ! — შესძახა ფონ-ბურვაკმა და კიდევ უფრო გაცოფებით იკითხა:

— როგორ! მაშ ის საჭმელები კარავში არა გაქვთ და მხოლოდ სახელებს ამბობდით?

— მხოლოდ სახელებს ჰერ ეფრეიტორ. ეს თამაში იყო მხოლოდ.

იმედგაცრუებულ ეფრეიტორს უფრო ბრაზი მოერია.

— ეს კიდევ უარესია არამზადებო, — ორივე პასუხისგებაში ხართ მიცემული, ნაბიჯით იარრ! — საველე სასამართლოს კარავისაკენ.

გადაფითრებულმა, აკანკალებულმა ორმა ფრიცმა ფეხებს ტყაპუნით გასწია შავი კარავისაკენ, სადაც მათ მოელოდა მკაცრი განაჩენი: ფრიც კვატენბერგს — ადამიანური გრძნობების გამომჟღავნებაზე ლტოლვისათვის რაც სახელს უტეხს ჭეშმარიტ ჰიტლერელს, ხოლო ფრიც ბატენბერგს — გამოგონილ საჭმელებზე თამაშისათვის, რითაც მან შეცდომაში შეიყვანა თავისი პირდაპირი უფროსი.

ჭეშმარიტად მძიმეა ორივე ფრიცის დანაშაული.

ომახი მეღვარიძე

## ფაშისტური „თავაზიანობის" და „ოპტიმიზმის" ნიმუშები

ნახ. ი. კროტკოვისა



„სასიხარულო ამბავი"

— ნება მიბოძეთ, მშვენიერო ფრაუ, გაგახაროთ! თქვენი ქმრის ამბავი მოგიტანეთ ფრონტიდან!

— კარგად არის?

— ო... ჩინებულად... ის ხაოცხოვო კუბოში წევს, თავისი პოლკოვნიკის გვერდით, თვალწარმტაც უკრაინის მშვენიერ ბაღში.



„მოტრფიალე"

— მაინც არ მჯერა, ფრიც, შენ ისე გაგიჟებით გიყვარდე, როგორც მეუბნები!

— დამიჯერე, შეუდარებელო ელზა! მას შემდეგ რაც პირველად დასაგრილებელ პუნქტში გაგიცანი, მე როგორც ჭეშმარიტი ჰიტლერელი, შენი უგულებელი მოტრფიალე ვარ.



ცნობისმოყვარე

— მე უდიდეს ალტაცებას ვანვიცდი, რომ ჩემს წინაკზე ეს ჩინებული ნივთი მერგო, მაგრამ, თუ უკაცრავად არ ვიქნები, გთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩემი ცნობისმოყვარეობა, — რათა ეს განძი დანიშნულებისამებრ მოვიხმარო, მითხარით: ეს პურის ერზაცია, ფეხსაცმელის ლანჩა, თუ სხვა რამ?

# ცხელი დღეები დაუდგა

ბარენცის ზღვაში ჩვენი მამაცი მფრინავები დაუნდობლად სძირავენ გერმანიის გემებს, რომელნიც ცდილობენ ჯარი და საჭურველი მიაშველონ ფინელებს.

ნახ. გ. ლომიძისა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიტლერის „მამაცი" ადმირალი ფონ-ყურყუმელბერგი ლებულობს გაზაფხულის პირველ აბაზანას — შხაპებით.

## ტრაგიკომიკური „ინფორმაცია"

გერმანელ მოქალაქეებს ეცინებათ როდესაც ისმენენ გერმანიის შტაბის ტრაგიკომიკურ ინფორმაციას. მოგვყავს სხვათაშორის ასეთი ინფორმაციის, რამდენიმე ნიმუში, რომელიც შედგენილია გერმანიის საინფორმაციო ბიუროს მასალების მიხედვით:

### 1. ერთი მრავალთაგანი

„საარტილერიო მომზადების შემდეგ ბოლშევიკები შეტევაზე გადმოვიდნენ. ეფრეიტორი დრეზიდერი მათ ტყვიამფრქვევიდან ლითონის წვიმას აყრიდა. შემომტევთა მწკრივები ძირს ეფინებოდნენ, მცირდებოდნენ, თხელდებოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც წინ მიიწევდნენ. ისინი დრეზიდერს ოცდაათი მეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ. ტყვიამფრქვევი მწყობრიდან გამოვიდა. დრეზიდერი არ იბნევა: იმავ წუთში იგი გადაწყვეტილებას იღებს. დრეზიდერი რევოლვერს იღებს და იქიდან სროლილობს. რვა ნასროლი რვა ნიშანს ხვდება. დრეზიდერი ელვისებურად იღებს ცარიელ ტყვიამფრქვევს და მტრისაკენ ისვრის. იგი მიწიდან იღებს მუშტის სისხო ქვებს და მოზღვავებულ მტერს აყრის. დაბნეულმა მტერმა უკანდახევა იწყო"...

### 2. ასე ვცხოვრობთ ყოველდღე

„ფრონტის ერთერთ უბანზე გერმანიის უნტეროფიცერმა კარლოს ხლუსტმა, რომელმაც ერთი წუთის განმავლობაში რევოლვერიდან გასროლილ ორი ტყვიით გაანადგურა ათი საბჭოთა ტანკი, იმავე წუთში მოულოდნელი ფსიქიური იერიშის მიტანით ჰაერში აისროლა და მოსპო თექვსმეტი საბჭოთა ტანკი, ამის დანახვაზე ბოლშევიკები გადმოვიდნენ შეტევაზე ოთხას ორმოცდაერთი ტანკით. უნტეროფიცერმა კარლოს ხლუსტმა ხელდახელ გამოიყვანა მწყობრიდან ორნახევარი მძიმე ტანკი, დანარჩენმა ბოლშევიკმა ტანკისტებმა შიშის გამო ორიენტაცია დაჰკარგეს და უკან გაბრუნდნენ".

დ. ჯავშანიძე

## ფუჭი ცდა

მუსოლინმა ბრძანება გასცა, რათა იტალიელი ხალხი ფეხზე ადგომით უსმენდეს რადიო-ცნობებს.

ნახ. ე. კროტკოვისა



— ჯიოვანი, ჩქარა წამოდექ! დაგავიწყდა დუჩეს ბრძანება? ხომ გესმის რადიო-ცნობებს გადმოგვცემს?

— ჰე, ძმობილო, მე როგორც იქნება წამოვდგები, მხოლოდ ჩემი დაკოდილი სულის აღდგენას ვერავითარი ბრძანება ვერ უშველის.

## კრავებთან ვაჟკაცობს, ცხარია, ვაჟკაცთან კი—ნამდვილი ცხვარია

ნახ. კუკრინიკსებისა



ფონ-დრაპპეს, „მხედარს არიელს“,
თვით ჰიტლერიც კი აქებდა, —
ის ვაჟკაცურად ჩვილ ბავშვებს
მახვილის წვერზე აგებდა.

მას ჩვენმა გვარდიელებმა
დღე დააყენეს ცხარია
და მყის დარწმუნდნენ, რომ იგი
დრაპპე კი არა — ცხვარია.

მან კაცის სახე დაკარგა,
ცხვრის ბღავილს მოჰყვა მკრთალადა,
და რქტდასხმულმა მოცოცხა
ბუჩქებში დასამალადა.

ს. მარშაკი

## „რეზერვისტები“

ცოცხალი მასალის მკვეთრი ზარალის გამო ადოლფ ჰიტლერმა უბრძანა ჰებელსს მიიღოს ზომები ახალ-ახალი რეზერვების გამოძებნისათვის. აი, ზის ჰებელსი და გაგზავნილი ცირკულიარების შედეგებს ელოდება.

კარები ერთობ მოურიდებლად გაიღო და კაბინეტში ჯმუხა ვინმე შემოვიდა. სახეზე ათიოდე იარა ატყვია. ცალი თვალი შეხვეული აქვს. ქამარში დანები გაურჭვია.

— სახელი? გვარი?

— მე ცალთვალა ჰანსს მეძახიან. თავის დროზე მიმუშავნია ჩვენს ფიურერთანაც.

— ხელობა?

— ხელობა? ჩვენ უბრალო ხალხი ვართ. ასე ვთქვათ, სულის ამორთმევაზე ვმუშაობთ. შემდეგ კი ნივთები და ფულის ნიშნები მიგვაქვს.

— მარკები?

— ეგ სულერთია: მარკებიც, გირვანქებიც, ზლოტებიც.

— გასამართლებული ყოფილხართ? მისჯილი გქონდათ?

— თითქმის... ესე იგი, სამჯერ მომისაჯეს დახვრეტა, ამდენჯერვე ჩამოღრჩობა, ცოტაოდენი კატორღა და ასიოდე წლის ციხე. როგორც ხედავთ, მაინც თავისუფლად ვარ.—ჩაიცინა ცალთვალამ.

— სწორედ მასეთ ხალხს ვეძებთ ჩვენც. — სიხარულით წამოიძახა ჰებელსმა და მხარზე ხელი დაჰკრა.—თქვენ, როგორც შემოწმებული პირი, ჩარიცხული ხართ ობერ-ლეიტენანტად. ჯამაგირიც გექნებათ, ტანისამოსიც და რასაც იჭიშოვი. თქვენს ინიციატივაზეა დამოკიდებული. იმედია, ცოტას ჩვენც გვიწილადებთ.

— ვნახოთ!—ამბობს ცალთვალა და გადის.

— შემდეგი!

კაბინეტში შემოდის ათიოდე სუბიექტი. ერთობ უცნაური ხალხია: ზოგს ცხვირი აქვს უჩვეულოდ ჩაზნექილი, ზოგს შუბლი გატეხილი, ზოგს თითები დაგრეხილი. საერთოდ კი, თითქმის ყველას ოქროს კბილები აქვს და ალმას-ბრილიანტიანი ბეჭდები აცვიათ თითებზე.

— შემოდით! — ეუბნება გახარებული ჰებელსი.

ამ რაზმს წინ მიუძღვის ელამი კურტი, რომელიც უცნაურად ატრიალებს თვალებს.

— ვილი! დადე თავის ადგილას! — გაჯავრებით მიმართავს ეს ელამი ერთ დალმეჭილთაგანს.

დალმეჭილი იღებს ოქროს საათს, რომელიც შემოსვლისთანავე ამოართვა ჰებელსს და მაგიდაზე სდებს.

— ჰანრი, ამოიღეთ ნივთი!—მიუბრუნდება ელამი მეორეს—უცხვიროს, რომელიც აგრეთვე იღებს მოჭედილ კალამს. ეს კალამიც ჰებელსს აცალა მან მაგიდიდან. ჰებელსი აღტაცებულია ამ ოსტატობით და თან შეშინებული.

— რა მოხელე ხალხი ხართ თქვენ?—ეკითხება იგი რაზმს.

— ჩვენ ვართ ბინების გამტეხი, ჯიბის მოხელე, დამცემი და ამომრთმევი ხალხი,—არევით უპასუხებენ მაროდიორები.

— დიდად სასიამოვნოა, — ჩარიცხული ხართ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, საპატიო ლეგიონში. აბა, თქვენ იცით, როგორ ასახელებთ ფიურერის გერმანიას.

— ჩვენზე იყოს!—ღრიალებენ ქურდები და გადიან იმ ურყევი იმედით, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ნადავლს შეაგროვებენ.

* * *

ისინი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოვიდნენ, ბლინდაჟებში ჩასხდნენ და შეუდგნენ ბრძოლას. აი, ამ ბრძოლის შედეგი:

თენდება. საპატიო ლეგიონერთა ბლინდაჟში სიწყნარეა. ლეგიონერები მძიმედ სუნთქავენ, მათ არ სძინავთ. ზოგი ხვნეშის, ზოგი კვნესის, ზოგი ოხრავს, ზოგი ახალ ჭრილობებს იხვევს. ბლინდაჟის შესასვლელთან მხარ-თეძოზე წამოწოლილა ცალთვალა ჰანსი, რომელსაც მოძრაობის თავი აღარ აქვს.

— აჰ? როგორ მოხდა, რომ ბრძოლა წავაგეთ?

— რა ვქნათ... ჩვენზე ძლიერები აღმოჩნდნენ.

— ელამო კურტ, მაჩვენე შენი ოქროს პორტსიგარი, დრეზდენში რომ მოიპარე!

— აღარა მაქვს... წამართვეს.

— ვილი, ამოიღე შენი მოჭედილი საათი, ნახე რა დროა?

— საათი წამართვეს... დავლად დარჩათ იმათ...

— აღმაშფოთებელია! — ჰყვირის ცალთვალა ჰანსი.—რა უყავით ოქროს კბილები? რა უყავით მეთქი?

— კბილები დაგვაძვრეს...—ერთხმად ჩიფჩიფებენ მაროდიორები.

— რა ვქნათ?—ამბობს ელამი კურტი,—ეგენი ჩვენზე მარჯვე და ოსტატები აღმოჩნდნენ. მერე რიცხვიც... ერთი რომ „სს“ რაზმელები, შემდეგ მოიერიშეები, აქეთ გესტაპოელები... დაგვერივნენ და დაგვჯაბნეს... სულ ამ ოქროს კბილების და სამკაულების ბრალია, ამის გულისთვის გაგვძარცვეს...

— რა კბილები დავკარგეთ! უკბილოდ როგორ ვიომოთ?—კვნესიან დამარცხებულები, რომლებიც გაძარცვეს მათმავე ძმებმა—„სს“-ელებმა და მოიერიშეებმა.

მეორე დღეს „საპატიო ლეგიონი“ იერიშზე გადმოათრია მათმა სარდლობამ. მაროდიორებს კუდით ქვა ასროლინეს ჩვენმა ბიჭებმა. გადარჩენილი ჯიბგირები უკან გაიქცნენ ბერლინისაკენ. გზაში მათ ჩასაფრებული მოიერიშეები და გესტაპოელები ხვდებოდნენ, უკანასკნელ შარვალს ხდიდნენ და საბანაო კოსტუმებით უშვებდნენ უკან.

ა. მაღულარია

მოქმედი არმია

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# საგაზაფხულო ფაშისტური ბალაგანი

ნახ. ი. განფისა.




ჰებელსი: აქეთ მობრძანდით, აქეთ მობრძანდით კეთილშობილნო, სამხედრო და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნო, ქალებისა და კაცებისათვის ამ თვალწარმტაც ალაგას, თქვენ იხილავთ ჩვენს საგაზაფხულო ბალაგანს!

ჩვენი დევიზია: სიცილი უსაზღვროდ და ერთბაშად, ვინც გაიცინებს იმას ფეშქაშად მივართმევთ თავშესაყოლად მთელ ფიქალ შოკოლადს, აბა, აბა, თავი დაანებეთ ხვნეშას და ისტერიკას, შოკოლადს მოგცემთ, როცა დავიპყრობთ რუსეთს, ინგლისს და ამერიკას!..

ის კი—ვინც გრძნობის დაკარგვამდე არ იცინებს, გამოეთხოვება საკუთარ გოგრას და სამუდამოდ „იძინებს".

— ვინ არის რომ თრთის შიშისაგან ის არამზადა?

იცოდეს მისთვის შიმლერის ნაჯახი უკვე არის მზადა.

ჩვენი პროგრამის პირველი ნომერია მარშალი გერინგი ნამდვილად ცოცხალი რომ არის სწორედ იგი.

ის აწყობს საჰაერო აქტებს. ერწმუნეთ ფაქტებს!

რა სიმარჯვეა ამ ლეშში მოთავსებული. მისგან ხარობს ჭეშმარიტ არიელთა სული და გული. ის თქვენთვისა ცდილობს არამზადებო, თქვენთვის თავდადებულად ახლაც განემზადება, „ჰაერის მეფის" წოდება მის სახელს ჰქარგავს, ამიტომაა, რომ მეომარ მხარეთაგან ის ყველაზე მეტს ჰკარგავს.

ნომერი მეორე—გახლავთ დოქტორი ლეი,

ანუ მეტსახელად—„ჩაყლუპწე ეი!"

თქვენს გასამხიარულებლად, ახლავე დათვრება სულმოუბრუნებლად. და გალეშილი კვლავ ასწევს განიერ ჭიქას და წაიყრანტალებს რაღაცა სიტყვას:

— „ასე და ასე, იმუშავეთ გერმანელებო, ოფლი ღვარეთ თქვე ჭკუათხელებო, მე კი—სიმართლე თუ გინდათ სრული, არგენტინაში მიმიწევს გული!

ნომერი მესამე და უმთავრესი—ეს ჩვენი ადოლფია—უნეტარესი. თქვენც ხომ იცნობთ სიმძიმეთა აწევაში მის განთქმულ ძალას, თითოჯერად სწევს მილიონ თავის ქალას.

თუ გსურთ, თქვენ გოგრასაც მიაყოლებს თანა, მას შესწევს საამისო ძალა.

პროგრამის დასასრულს თქვენს გართობას თვით მე შევეცდები. ენის წვერით საკუთარ იდაყვებს შევწვდები, კანიდან გამოვძვრები და უკანვე შევძვრები, ვიცრუებ ლამაზად და გაუგებრად, ტყუილებით გაგამხიარულებთ უებრად.

მაშ აქეთ, მაშ აქეთ მობრძანდეს ყოველი თქვენგანი, რომ იხილოს ჩვენი საგაზაფხულო ბალაგანი.

(„კროკოდილიდან")

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი ყორესის ქ. № 5. ტელ. № 3-10-49

42-73
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგაზაფხულო თაიგული

ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებიდან შესდგა „კვისლინგელების“ ასოციაცია, რომელშიც შედიან საფრანგეთიდან: ლავალი, დორიო, დეა, ჰოლანდიიდან — მუსერტი, ნორვეგიიდან — კვისლინგი, დანიიდან — კლაუსენი და სხვები.

გაზეთებიდან

ნახ. ი. კროტკოვისა



ჰიმლერი (ჰიტლერს) — ინებეთ, ფიურერ, საგაზაფხულო თაიგული ჩემს მიერ მოკრეფილ ყვავილებისაგან გავაკეთე და მოგართვით.

ჰიტლერი — ჩადე ქოთანში და გაუფრთხილდი, — მალე არ დაჭკნეს.